ილიაუნის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის ეფექტურობის შეფასება

მარიამ სორდია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

სარჩევი

1.1 განაცხადი iii
აბსტრაქტი iv
Abstract vi
1.2 მადლობა viii
შესავალი (საკვლევი საკითხი/პრობლემა, კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვები) 1
კვლევის მეთოდი (მონაცემთა ანალიზი) 5
ლიტერატურის მიმოხილვა 6
შედეგების ინტერპრეტაცია/დისკუსია 36
დასკვნა 43
რეკომენდაციები 44
კვლევის შეზღუდვები 44
ბიბლიოგრაფია 46

1.1 განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად".

მ. სორდია

14.06.2023

აბსტრაქტი

წარდგენილი კვლევა მიზნად ისახავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის ეფექტურობის შეფასებას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი 2019 წელს დაფუძნდა და მას შემდეგ განუწყვეტლივ ემსახურება სტუდენტებს. ცენტრში დაარსების დღიდან დასაქმებულია 4 ფსიქოკონსულტანტი, ვინც დაასრულა უნივერსიტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის მაგისტრატურის პროგრამა. 2023 წლის იანვრიდან დღემდე სერვისში მუშაობს 3 კონსულტანტი, ხოლო ცენტრი კვლავ ერთი პროფესიონალის დამატებას და სტუდენტების მომსახურების შესაძლებლობის გაზრდას მალე გეგმავს. სერვისი იღებს ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებს, ვისაც გააჩნია სხვადასხვა ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეები. ყველაზე ხშირად ეს პრობლემები შფოთვას, სტრესსა და დეპრესიას მოიცავს. ცენტრი სტუდენტებს სთავაზობს როგორც ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალურ თერაპიას. ინდივიდუალური ფსიქოკონსულტირება პირისპირ შეხვედრის ფორმატში, ასევე ონლაინ პლატფორმის გამოყენებითაც მიმდინარეობს.

წარდგენილი კვლევა ცენტრის დაარსებიდან მესამედ აფასებს მისი მუშაობის ეფექტურობას და მნიშვნელოვანია წლების მანძილზე სტუდენტების კმაყოფილებისა და სერვისის ხარისხის კონტროლისთვის. ცენტრის ეფექტურობის კვლევის 2019 და 2020 წლის მონაცემების უახლეს შედეგებთან შედარება იძლევა ფართო პერსპექტივას სერვისის ფუნქციონირების შესახებ, ხოლო ამ კვლევის შედეგებზე დაფუძნებული რეკომენდაციები, შესაძლოა გამოსადეგი აღმოჩნდეს ცენტრის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

კვლევა რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც გაანალიზდა 1. ფსიქოლოგიური ცენტრის მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს სტუდენტების ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასებებს კონსულტირების დაწყებამდე და მის შემდეგ; და 2. ცენტრის მომსახურებით სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარის შედეგები. მომხმარებელთა კმაყოფილების გაზომვისთვის შემუშავებული კითხვარი მოიცავდა სერვისთან დაკავშირებულ დებულებებს

(კმაყოფილება, ბარეირები, რეკომენდაციები), რომლებსაც რესპონდენტები ლაიკერტის სკალის მიხედვით აფასებდნენ. ფსიქოლოგიური ცენტრის მონაცემთა ბაზიდან 231, კმაყოფილების კვლევიდან კი სულ 33 მონაცემი დამუშავდა სტატისტიკურად და გამოვლინდა შედეგები.

კვლევის შედეგები ავლენს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოონსულტირების სერვისი ეფექტურია და სტუდენტთა უმრავლესობას აღენიშნება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ფსიქიკური ჯანრმთელობის მდგომარეობაში. კონსულტირების შემდეგ მომხმარებელთა შფოთვის საშუალო ქულამ 5.5-ით ხოლო დეპრესიის სიმპტომების საშუალო ქულამ 6-ით დაიკლო. სტუდენტთა უმრავლესობა კმაყოფილია მიღებული მომსახურებით და ცენტრს რეკომენდაციას სხვებთანაც გაუწევდა. სტუდენტების დიდი ნაწილი თვლის, რომ კონსულტირების შედეგად გადალახა შემაწუხებელი აზრები, აუმაღლდა თვითშეფასება და მთლიანობაში, თავს უკეთ გრძნობს. კვლევის შედეგებისა და სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა რეკომენდაციები, რომლებიც სერვისის გაფართოებასა და მეტი სტუდენტის მიღების შესაძლებლობას მოიცავს.

მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია ფსიქოკონსულტირების ცენტრის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და ხაზს უსვამს სამომავლო, უფრო მასშტაბური კვლევის საჭიროებას, რომელიც აგრეთვე შეაფასებს სერვისის მომხმარებელთა მდგომარეობას კონსულტირებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ და უფრო ღრმად შეისწავლის ქართველი სტუდენტების ფსიქოკონსულირებასთან დაკავშირებულ გამოცდილებას.

Abstract

The presented study aims to evaluate the effectiveness of a free Psychological Counseling Center for students of Ilia State University. The Student Psychological Counseling Center at Ilia State University was established in 2019 and has continuously served the students since then. The Center employed 4 psycho-consultants who have completed the university's master's program in mental health until January 2023. There are currently 3 professionals providing the service for students and the Center soon plans to add one more consultant so it can operate more efficiently. The service provides psychological counseling for Ilia University students who have different mental health difficulties. Most often these issues include anxiety, stress, and depression. The center offers both group and individual therapy to students.

The study evaluates the effectiveness of the service for the third time since its establishment and is important for monitoring the satisfaction of students and the quality of service over the years.

A comparison of data from the 2019 and 2020 Center effectiveness research with the latest results provides a broad perspective on service functioning, and recommendations based on the results of this study may be useful to improve the efficiency of the Center.

The research was conducted using a quantitative method and included different factors. A psychological center database was analyzed, including assessments of students' mental health condition before and after counseling. The study also included results of the questionnaire, which measured students' satisfaction with received counseling. The questionnaire developed for measuring customer satisfaction included service-related statements (satisfaction, barriers, recommendations) that respondents rated on a 1-7 scale. Results of 231 students from the database of the psychological center and 33 students from the satisfaction survey were analyzed statistically.

The results of the study demonstrates that the psychological counseling service of Ilia State University is effective and the most of the students have reported significant improvement in their overall mental health state since receiving counseling. After counseling, mean anxiety scores of students decreased by 5.5 and their mean depression symptom scores decreased by 6.

The majority of students are satisfied with the services received and would recommend the center to others. A large number of students report that they were able to overcome disturbing thoughts, increase their self-esteem and that they feel better overall. Based on the results of the research and the needs of students, recommendations were made, which include the expansion of the service and the ability to provide service to more students.

The results presented in this study are important for improving the effectiveness of the psycho-counseling center and emphasize the need for future, larger-scale research, which includes follow-up data of the students and will study more deeply the experience of Georgian students related to psychological counseling.

1.2 მადლობა

კვლევაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს.

მადლობას ვუხდი კოლეგებს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის ფსიქოკონსულტანტებს კვლევაში დახმარებისთვისა და გაზიარებული გამოცდილებისთვის.

მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს, რომლებმაც არ დაიშურეს დრო კითხვარის შესავსებად.